



საქართველოს იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010155574923017

27 / დეკემბერი / 2017 წ.
№ 1302/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიფელის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი I; II; III; IV ხარისხის) – სულ -98.81 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N436) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 04 აგვისტოს დასკვნის N5004392017, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 26 დეკემბერი N12/61032 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N436 იმერეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ვანი - ბაღდათის სატყეო უბნის ქერშავეთის სატყეოს N3 კვარტალში (ლიტერი 11) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 98.81 მ³ ფოთლოვანი სახეობის (წიფელის) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის- I; II; III; IV ხარისხის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12/27/2017

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე

ეროვნული სატყეო სააგენტო


ნათია იორდანიშვილი